Arbor usque ad 10 m altus, fronde lata, divaricata, cortice fusco-cinerea, lenticellis longis ferrugineis. Gemmis fusiformibus, ad 13 mm lg., glabris, apice parce pilosis. Folia 13,0—24,3 cm lg. $\left(\frac{M \pm m}{17,7 \pm 0,3}\right)$, 8,6—15,0 cm lt. $\left(\frac{M \pm m}{11,7 \pm 0,2}\right)$, petiolo 1,0—5,7 cm lg. $\left(\frac{M \pm m}{3,7 \pm 0,1}\right)$, imparipinnata, interdum paripinnata, foliola 11—15, supra intense-viridia, subtus pallide-viridia. Foliolum superius 4.1—6.6 cm $\left(\frac{M \pm m}{5,2 \pm 0,07}\right)$ lg., loco latissimo 1,8—3,6 cm lt. $\left(\frac{M \pm m}{2,7 \pm 0,05}\right)$ a basi usque ad denticulos 0,6—3,6 cm $\left(\frac{M \pm m}{2,3 \pm 0,08}\right)$, petiolulo ad 0,8—2,2 cm $\left(\frac{M \pm m}{1,3 \pm 0,01}\right)$, obovatum, subsymmetricum, foliola glabra, nervis ad 13. Subtus prominentibus basi valde angustata et in petiolulum abeuntia, denticuli curvati, acutati, sursum porrecti, breves, parvi approximati. Foliolum medium obovatum 5,0—7,7 cm lg. $\left(\frac{M \pm m}{6,4 \pm 0,02}\right)$, loco latissimo 1,8—3,0 cm latimi $\left(\frac{M \pm m}{2,4 \pm 0,02}\right)$, a basi usque ad denticulos 0,7—4,1 cm $\left(\frac{M \pm m}{2,3 \pm 0,1}\right)$, foliola asymmetrica, nervis 12—16 infra manifeste prominentibus denticulis approximatis, curvatis, acutatis, sursum porrectis, brevibus, parvis. Foliolum inferius 4,0—7,1 cm lg. $\left(\frac{M \pm m}{5,0 \pm 0,07}\right)$, loco latissimo 1,4—2,6 cm lt. $\left(\frac{M \pm m}{1,9 \pm 0,02}\right)$; a basi usque ad denticulos 0,7—4,3 cm $\left(\frac{M \pm m}{2,6 \pm 0,09}\right)$, denticuli foliolorum breves, parvi, curvati, acutati, sursum porrecti et approximati; foliolum inferius elleptico-ovatum.

Inflorescentia corymbosa, fructifera 12—15 cm diam; fructus glabri, pedicello 0,2—0,7 cm lg., 0,9—1,2 cm longi, loco latissimo 1,1—1,2 cm lati; loculi 3—4, semina in quoque loculo 2, interdum unum abortivum.

Fructus flavo-rubri, late-ellipsoidei. Fl. iritio VI, fr. VIII.

Hab.: In silvis mixtis sempervirenti-fructicosis regionis silvaticae ab 1100 ad 1400 m.

Typus: Guria, In viciniis loc. Bachmaro, loc. Tkemlanas bolo, 1260 m.

Ar. geogr.: Planta endemica SSR Georgicae.

S. Boissieri Schn. proxima, a qua characteribus nonnullis in tabula infera collocanda indicatis differt:

S. Boissieri Schn.

S. bachmarensis Gatsch.

1. Gemmae glabrae, plus minus viscosae.

1. Gemmae glabrae, apice parce pilosae.

2. Folium sine petiolo 13,3—25,0 cm lg
 $\left(\frac{M \pm m}{18,7 \pm 0,27}\right)$ petiolus 1,5—5,8 cm lg
 $\left(\frac{M \pm m}{4,1 \pm 0,09}\right)$.

2. Folium 13,0—24,3 cm $\left(\frac{M \pm m}{17,7 \pm 0,3}\right)$ lg.;

3. Ad basin foliolorum setae albae paucae adsunt et foliola infra et ad nervum medium parce pilosa.

3. Planta glaberrima.

4. Foliola elliptico-lanceolata.

4. Foliola obovata, basin versus valde angustata, in petiolulum abeuntia.

5. Foliola 5,1—8,5 cm lg $\left(\frac{M \pm m}{6,8 \pm 0,09}\right)$

5. Foliola 5,0—7,7 cm lg $\left(\frac{M \pm m}{6,4 \pm 0,02}\right)$

loco latissimo 1,7—2,8 cm lt $\left(\frac{M \pm m}{2,2 \pm 0,02}\right)$

loco latissimo 1,8—3,0 cm $\left(\frac{M \pm m}{2,4 \pm 0,02}\right)$

a basi folioli usque ad denticulos

a basi folioli usque ad denticulos

1,6—5,9 cm $\left(\frac{M \pm m}{2,8 \pm 0,01}\right)$;

0,7—4,1 cm $\left(\frac{M \pm m}{2,3 \pm 0,1}\right)$;

6. Denticuli foliolorum obtusiusculi v. breviter acutati.

6. Denticuli foliolorum approximati, breves parvae, acutati, curvati, sursum porrecti, nervi infra manifeste prominentes.

7. Fructus rotundato-ovati, aurantiaci.

7. Fructus flavo rubri late-ellipsoidei.

S. caucasigena Komarov et Gatschetschilardze sp. nov.

S. caucasigena Komarov in Флора СССР IX (1939) 376 (nomen) — *S. aucuparia* auct. fl: cauc. non. Lp. maxim. p.

Arbor v. frutex 4—15 (20) m altus, 15—40 cm diam. fronde lata ramis divergentibus, cortice ramorum grisea, rubro-brunnea v. nigrescente, lenticellis albis v. ferrugineis rotundis v. odlongis. Gemmae conicae, pubescens v. pilis sparsis obsitae, 0,7—1,2 cm lg.; Folia imparipinnata foliolis 11—19, supra glabris, fusco-viridibus, subtus pallide-viridibus, basi et infra praesertim ad nervum medium sparse pilosis. Folia 11.0—23.4 cm lg. $\left(\frac{M \pm m}{16,2 \pm 0,18}\right)$ 7,0—16,6 cm lt. $\left(\frac{M \pm m}{10,4 \pm 0,12}\right)$, (sine petiolo), petiolus 2,0—6,6 cm lg. $\left(\frac{M \pm m}{3,9 \mp 0,06}\right)$ foliolum terminale 2,3—6,9 cm lg. $\left(\frac{M \pm m}{4,4 \pm 0,05}\right)$, 1,4—3,0 cm lt. $\left(\frac{M \pm m}{2,0 \pm 0,03}\right)$ a basi usque ad denticulos 0,2—3,3 cm $\left(\frac{M \pm m}{1,6 - 0,04}\right)$, petiolulo folioli terminalis 0,7—2,0 cm lg. $\left(\frac{M \pm m}{1,2 \pm 0,02}\right)$, elliptico-lanceolato serrulato-denticulato v. acute-serrato, denticulis remotis. Foliola media 4,2—8,6 cm lg. $\left(\frac{M \pm m}{5,8 \pm 0,05}\right)$, 1,1—2,8 cm lt $\left(\frac{M \pm m}{2,0 \pm 0,02}\right)$, a basi usque ad denticulos 0,2—5,5 cm $\left(\frac{M \pm m}{1,6 \pm 0,08}\right)$, ovali—lanceolata, asymmetrica, sessilia v. vix petiolulata, brevi— v. longoacutata. Foliolum inferius 1,7—5,8 cm lg $\left(\frac{M \pm m}{4,0 \pm 0,07}\right)$, 0,8—2,1 cm lt $\left(\frac{M \pm m}{1,6 \pm 0,08}\right)$, a basi usque ad denticulos 0,2—4,6 cm $\left(\frac{M \pm m}{1,8 \pm 0,06}\right)$, anguste lanceolatum. Inflorescentia corymbosa, 6—15 cm diam., glabra, pilosa v. plerumque puberula. Flos 0,8—1,2 cm diam., peduculi 0,5—0,8 cm lg.; Petala ochroleuca, obovata, ad basin supra pilosa, 0,5—0,6 cm lg.; 0,5—0,6 cm lt. Stamina 17—20, biseriata, in receptaculo ad paria disposita, interiora breviora 0,3 cm lg., exteriora 0,5 cm. lg.; stili 3—4, basi cum ovario villosi, 0,3—0,4 cm lg. staminibus sub-breviores. Fructus a saturate rubro usque ad pallide luteum, ovalis v. oblonga v. pyriformis 0,7—1,0 cm lg., 0,7—1,1 cm lt. loculi 3—4, seminibus in quoque loculo 2, interdum unum abortivum. Semina elongata, subcurvata, apice acuta. Fl. VI, fr. VIII—IX.

Ha b.: In regione subalpina ab 1600 ad 2400 m., vulgo in Betuletis subalpinis, in Rhodoretis puris, rarius ad 1400 m descendit.

Typus: Distr. Kazbegi, in augustiis Chde, 1700 m.

Ar. geogr. Planta endemica (Montes Caucasi magni). In limite huius speciei quattuor formae diversae accurrunt:

f. *subintegerrima* Gatsch.

Foliola integerrima, raro apice 1—2 denticulis instructa. Kazbegi.

f. *longifoliolata* Gatsch.

Foliola longa bisserrata et ad nervum medium parce pilosa. Kazbegi.

f. *terminali-denticulata* Gatsch.

Foliola angusta, longa, a medio usque ad apicem denticula. Kazbegi.

f. *versicolor* Gatsch.

Foliola a basi bisserrata infra cinerea et dense pilosa. Ratscha: Schovi.

A. *S. aucuparia* characteribus multis differt:

S. aucuparia L.

1. Folia sine petiolo 6,1—19,4 cm lg
 $\left(\frac{M \pm m}{12,2 \pm 0,22}\right)$, petiolus 1,2—5,4 cm lg
 $\left(\frac{M \pm m}{2,7 \pm 0,05}\right)$.

2. Gemmae plerumque tomentosae.

3. Foliola oblongo lanceolata, 2,6—7,0 cm lg
 $\left(\frac{M \pm m}{4,6 \pm 0,07}\right)$ loco latissimo

0,8—2,3 cm $\left(\frac{M \pm m}{1,5 \pm 0,02}\right)$ lt., a basi usque ad denticulos 0,2—3,0 cm
 $\left(\frac{M \pm m}{1,1 \pm 0,04}\right)$.

4. Foliola 9—17, prerumque subtus dense—pubescentia.

5. Foliola dense et acute serrata.

6. Inflorescentia plerumque tomentosae.

S. caucasigena Komarov et Gatsch.

1. Folia sine petiolo 11,0—23,4 cm lg
 $\left(\frac{M \pm m}{16,2 \pm 0,18}\right)$, petiolus 2,0—6,6 cm lg
 $\left(\frac{M \pm m}{3,9 \pm 0,06}\right)$.

2. Gemmae sparse pilosae.

3. Foliola 4,2—8,6 cm lg
 $\left(\frac{M \pm m}{5,8 \pm 0,05}\right)$, loco latissimo 1,1—2,8 cm lt
 $\left(\frac{M \pm m}{2,0 \pm 0,02}\right)$, a basi usque ad denticulos 0,2—5,5 cm
 $\left(\frac{M \pm m}{1,6 \pm 0,08}\right)$.

4. Foliola 11—19, subtus sparse pilosa ad nervum medium v. (raro) glabra.

5. Foliola denticulis minus acutis remotis.

6. Inflorescentia \pm sparse pilosa.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტი
 და სტალინის სახელობის
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა რედაქციაში 15.6.1944)

К. А. ГАЧЧИЛАДЗЕ

ПРЕДСТАВИТЕЛИ РОДА *SORBUS* L. ИЗ СЕКЦИИ *AUCUPARIA*
MEDIK. В ГРУЗИИ

Резюме

В работе описывается 3 новых вида и 6 новых форм из секции *Aucuparia* Medik. рода *Sorbus* L.

Для всех новых видов и форм, а также для вида *S. Boissieri* Schn., дается подробный диагноз. Вид *S. aucuparia* L., приводимый многими авторами для Кавказа, исключается из флоры Кавказа. Географически замещающим вид *S. aucuparia* L. на Кавказе является вид *S. caucasigena* Komarov et Gatsch., распространенный на Главном Кавказском хребте. Вид *S. Boissieri* Schn. распространен в южном Закавказьи и Лазистане.

Вид *S. adscharica* Gatsch. описан из Аджарии (Хуло). Вид *S. bachmaensis* Gatsch. с окрестностей Бахмаро (Гурия). Наибольшим полиморфизмом отличается вид *S. caucasigena* Komarov et Gatsch., из которого выделены 4 формы:

f. *Subintegerrima* Gatsch.; f. *longifoliolata* Gatsch.; f. *terminali-denticulata* Gatsch.; f. *versicolor* Gatsch.; Из вида *S. Boissieri* Schn. выделена одна форма f. *apici-denticulata* Gatsch.; Из вида *S. adscharica* Gatsch., — также одна форма f. *totali-denticulata* Gatsch.

Академия Наук Грузинской ССР
Тбилисский Ботанический Институт
и Тбилисский Государственный Университет
имени Сталина



ზოოლოგია

6. ჯაფარიძე

ალმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონის IXODIDAE-თა
 ოჯახის ტკიპების ფაუნისა, ეკოლოგიისა და ღინამიკისათვის

საკითხი ტკიპების შესწავლისა, როგორც ცხოველის და ადამიანის სისხლის სხვადასხვა პარაზიტული ავადმყოფობის გადამტანებისა, ყოველთვის იწვევდა ინტერესს. ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო ცხოველების სისხლპარაზიტულ ავადმყოფობათა ტრანსმისიის სხვა საშუალება, გარდა ტკიპების შემწობით, ბუნებაში ჯერ ცნობილი არ არის. მრავალი კვლევითი სამუშაო, რომლებიც მიმართულია ეპიზოტოლოგიური მნიშვნელობის ტკიპების შესასწავლად, ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულად. თუ მივიღებთ მხედველობაში საქართველოს ბუნების მრავალფეროვნებას, გასაგები გახდება გადამტან პარაზიტების მრავალნაირობაც, სხვადასხვა ადგილსამყოფელოში.

იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს გეგმიანი ბრძოლა ტკიპ-გადამტანების წინააღმდეგ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მათი სახეობრივი შემადგენლობის შესწავლა, მაგრამ არა მარტო იმ რაიონებში, რომლებიც ითვლებიან დაავადების კერებად. არამედ იქაც, სადაც ავადმყოფობა არაა ცნობილი, რადგან, რაც უფრო მეტი ეკოლოგიური პლასტიკურობით ხასიათდება პარაზიტი, მით უფრო მეტია მისი გავრცელების არეალი და ახალ ადგილებში შეგუების შესაძლებლობა და ავადმყოფობის გადატანაც ერთი ადგილიდან მეორეში.

ტკიპების სახეობრივი შემადგენლობის შესწავლის საჭიროების შესახებ ბევრი საფუძვლიანი საბუთის მოტანაა შესაძლებელი, რაზედაც ახლა აღარ გავჩერდებით. ჩვენი წინამდებარე ცნობის მიზანია ალმ. საქართველოს ზოგიერთი რაიონის ტკიპების ფაუნის, ღინამიკის და ეკოლოგიური თავისებურების აღწერა, რის სქემატურ განხილვასაც ვიძლევი.

ქვემოლმოცემული სია გვიჩვენებს ტკიპ-პარაზიტების სახეობრივ შემადგენლობას სხვადასხვა რაიონში. იგი საკმაოდ შევსებულია შედარებით იმ სიასთან, რომელიც მანამდის მოცემული იყო საქართველოსათვის.

ტკიპების სახეობრივი შემადგენლობა რაიონების მიხედვით.

ლაგოდეხის რაიონი

- | | |
|---|---|
| 1. <i>Ixodes ricinus</i> L. 1758 | 5. <i>Rhipicephalus songuius</i> Latr. 1806 |
| 2. <i>Hyalomma plumbeum</i> Sulz. 1776 | 6. <i>Haemaphysalis inermis</i> Bir. 1895 |
| 3. <i>Rhipicephalus turanicus</i> B. Pom. | 7. <i>Haemaphysalis cancellata</i> Koch. 1844 |
| 4. <i>Rhipicephalus bursa</i> Can. et Fanz. | 8. <i>Boophilus calcaratus</i> Bir. 1895 |
| 1877 | 9. <i>Dermacentor marginatus</i> Sulz. 1776 |

თელავის რაიონი

- | | |
|---|---|
| 1. <i>Ixodes ricinus</i> L. 1758 | 6. <i>Phiphecephalus sanguineus</i> Latz. 1806 |
| 2. <i>Hyalomma plumbeum</i> Sulz. 1776 | 7. <i>Haemaphysalis punctata</i> Can. et Fanz. 1877 |
| 3. <i>Hyalomma volgense</i> P. Sch. u S. Schl. 1929 | 8. <i>Haemaphysalis inermis</i> Bir. 1895 |
| 4. <i>Rhipicephalus bursa</i> Can. et Fanz. 1877 | 9. <i>Boophilus calcaratus</i> Bir. 1895 |
| 5. <i>Rhiphiaphalus turanicus</i> B. Pom. | 10. <i>Dermacentor marginatus</i> Salz. 1776 |

წითელი წყაროს რაიონი

- | | |
|--|---|
| 1. <i>Hyalomma aegyptium</i> Lin. 1756 | 7. <i>Haemaphysalis otophila</i> P. Schluzе |
| 2. <i>Hyalomma plumbeum</i> Sulz. 1776 | 8. <i>Haemaphysalis punctata</i> Can. et Fanz. 1877 |
| 3. <i>Rhipicephalus bursa</i> Can. et Fanz. 1877 | 9. <i>Haemaphysalis sulcata</i> Can. et Fanz. 1877 |
| 4. <i>Rhipicephalus turanicus</i> B. Pom. | 10. <i>Dermacentor morginatus</i> Sulz. 1776. |
| 5. <i>Rhipicephalus sanguineus</i> Latr. 1806 | |
| 6. <i>Haemaphysalis numidiana</i> Neumann | |

ტკიპების გავრცელების ეკოლოგიური თავისებურებანი

Haemaphysalis numidiana Neumann.

ცხრილში მოცემულია ტკიპი *Hm. numidiana*, რომელიც საქართველოში პარველადა ნაპოვნი. ეს ტკიპი თავისი ეკოლოგიით მეტად თავისებური სახეობაა: შეგუებულია ცხოვრებას დახურულ ადგილსამყოფელოებს, როგორცაა გამოქვაბულები, ცხოველების სოროები და სხვა. ამის მიხედვით გასაგებია მისი გავრცელება მშრალ და ცხელ ადგილებში, იგი ტიპურია უდაბნოებისა და ნახევარ-უდაბნოებისათვის [8]. ამიტომ ელდარ—სამუხისათვის ეს ტკიპი ჩვეულებრივი უნდა იყოს. აქ ის პოულობს თავისათვის შესაფერისს ადგილსამყოფელოს. დახურულ ადგილსამყოფელოებში მისი ცხოვრება დაკავშირებულია მის პარაზიტობის ხასიათზედაც თვით ამ ადგილსამყოფელოებში მყოფ ცხოველებზე. მისი პატრონების წრე, უმთავრესად გარეული, სოროებში მაცხოვრებელი ცხოველებით შემოიფარგლება [8] და მისი პარაზიტობა მსხვილრქოსან სატონელზე [4] შემთხვევითი ხასიათისაა.

ჩენი მასალა აღებული იყო კატაზე 6.VI.39 წ., რომელიც მწყემსებს და რჩენოდან ზამთრის საძოვრებზე (სამუხში) ცხვრების მთაში არეკვისას. მართალია, კატა შინაური ცხოველია, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი გავარეულებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და საკვების მოსაპოვად თავკეებზე ნადირობის დროს ან სხვა სოროებში ძრომის დროს, სრულიად მოსალოდნელი იყო მშვიერი ტკიპების პარაზიტობა კატაზე. ელდარში მთელი წლის განმავლობაში ჩატარებულმა დაკვირვებებმა არც ერთ შემთხვევაში არ გვაპოვნინა სას.-სამ. ცხოველებზე *Hm. numidiana*. ამგვარად, ეს ტკიპი მკაცრად შეგუებულია ზემოხსენებულ ადგილსამყოფელოებს და პატრონთა შესაფერის ასორტიმენტს.

Haemaphysalis otophila Schulze. გავრცელებულია ნახევრად უდაბნოს ტიპის ლანდშაფტებში, ურობალახის და ავშნის ნახევრად უდაბნოს ტიპის ფორ-

მაციებში. დიდ გავრცელებას ჰპოულობს შირაქის სტეპებში, სადაც ცხვრების ჩვეულებრივი პარაზიტია იმაგურ სტადიაში; გვხვდება ძროხეულზედაც და ერთხელ რამოდენიმე ეგზემპლარი ნაპოვნი იყო კურდღელზე, აქაც ზრდადასრულებული ფორმით. ახალგაზრდა სტადიები იკვებებიან თავისებურ მღრღნელებზე.

Haemaphysalis sulcata Can. et Fanz. მისი გავრცელება შესაბამება *H. otophila*-ს გავრცელებას. ესეც ნახევრადუდაბნოს ფორმაციებისათვისაა დამახასიათებელი. imago პარაზიტობს სას.-სამ. ცხოველებზე, უმთავრესად ცხვრებზე. მეტად საინტერესოა ფაქტი ამ ტიპის ახალგაზრდა სტადიების პარაზიტობისა განსაკუთრებით რეპტილიებზე, რომლებზედაც მეტად დიდი რაოდენობითაა შემჩნეული.

Haemaphysalis punctata Can. et Fanz. ეს სახეობა ცნობილია სხვადასხვაგვარი ლანდშაფტებისათვის, და შეიძლება ჩაითვლოს ეკოლოგიურად საკმაოდ პლასტიკურ ტიპად. ნაპოვნია სამსავე რაიონში, მაგრამ შეხვედრის სისშირე არაა ყველგან ერთნაირი. უფრო შეგუებულია ურო-ბალახის ნახევარსტეპების ფორმაციებს, ხოლო ლეშამბიანი დაბლობის ტყეების და ფოთლოვანი ტყეების ფორმაციებში შედარებით ნაკლებად შეგვხვედრია. imago-სათვის შირაქის სტეპებში ძირითად პატრონებად ჩაითვლებიან ცხვრები, ორ სხვა რაიონში კი უზირატესობა ამ მხრივ ძროხეულს ეძლევა. ახალგაზრდა სტადიები ნაპოვნია ძროხეულზედაც, მღრღნელებზედაც და ფრინველებზეც.

Haemaphysalis inornis Bir. ძალიან იშვიათად შეგვხვედრია, უმთავრესად ნაპოვნია ფოთლოვანი ტყეების ფორმაციებში. imago პარაზიტობს ძროხეულზე, ახალგაზრდა სტადიები ჩვენ მიერ არ ყოფილა ნაპოვნი. ლიტერატურული ცნობით [6] ნაპოვნია მღრღნელებზე.

Haemaphysalis cancellata Koch. ამ სახეობას დიდი ეკოლოგიური მოთხოვნილება ახასიათებს, რასაც მოწმობს ამ ტიპის გავრცელების შესახებ ცნობილი მონაცემები [8]. საქართველოში მისი გავრცელება დაკავშირებულია თბილ და ნოტიო ჰავასთან, დაბლობ ლეშამბიან, კოლხიდის ტიპის ტყეებში. აღმოსავლეთ საქართველოში ცნობილია მხოლოდ ლაგოდეხის რაიონში, სადაც პოულობს თავის გავრცელებისათვის შესაფერის ადგილებს მთის ქვედა ტყიან ზონაში, რის ზევით მისი გავრცელება აღარ ხდება. იმაგური სტადია პარაზიტობს ძროხეულზე, იშვიათად—ცხვრებზე. ახალგაზრდა სტადიები, პომერანცივის და მათიკაშვილის [6] ცნობით, პარაზიტობენ სას.-სამ. ცხოველებზე და წვრილ ძუძუმწოვრებზე.

Rhipiuphalus turanicus B. Pom. საკმაოდ დიდი ეკოლოგიური ელასტიკურობა ახასიათებს და სამსავე რაიონში თანაბარი სისშირით გვხვდება. ამგვარად, მისი გავრცელება დამახასიათებელია, როგორც ურობალახის და ავშნის ნახევარსტეპების ფორმაციებში, აგრეთვე ლეშამბიანი ტყის დაბლობებში და ფოთლოვანი ტყეების მთის კალთების ლანდშაფტებში. შირაქის სტეპებში უმთავრესად პარაზიტობს ცხვრებზე, მაშინ, როცა ორ დანარჩენ რაიონში მეტ წილად ძაღლებზე გვხვდება *Rh. sanguineus*-თან ერთად.

Rhipiuphalus sanguineus Latr. ეს ტიპი არ გვხვდება ბუნებაში რომელსა-მე მცენარეულ ფორმაციაში, ის შეგუებულია ცხოვრებას საცხოვრებელ ბინებ-

ში, სადაც ის ხერელებში იმალება. ჩვეულებრივი პარაზიტია ძაღლისა, მასზე გაიგლის მეტამორფოზის ყველა სახეს. იშვიათ შემთხვევებში ნაპოვნია ძროხაზე, მხოლოდ ისიც იმ შემთხვევაში, თუ ძროხა საცხოვრებელ ბინასთან ახლოსაა, სადაც ძაღლებიც ბინადრობენ. თუმცა ეს ტკიპი არც ადამიანის სისხლის წოვას ერიდება და ხშირად ოთახის კედლებშიაც გვხვდება.

Rhipicephalus bursa Can. et Fanz. დიდ გავრცელებას პოულობს, ადვილად ეგუება ყოველნაირ პირობებს, მაგრამ გადაჭარბებულ სინოტივეს ერიდება, უფრო რჩეობს მშრალი ჰაერის ადგილებს. ბევრი მოიპოვებოდა შირაქის სტეპებში, სადაც ცხვრების ჩვეულებრივი პარაზიტია. imago და earvae-ბი პარაზიტობენ სას.-სამ. ცხოველებზე. nimphae-ბი სხვა შუალედ პატრონს პოულობენ, არის მითითება, რომ nimphae-ბი ნაპოვნი იყო კურდღელზე [6].

Hyalomma volgense Schälze—ტკიპი, რომელიც იზამთრებს ცხოველზე, პარაზიტობს განსაკუთრებით მსხვილ რქოსან საქონელზე, რომლებზედაც გაიგლის თავის მეტამორფოზს, მთლიანად შეგუებულია საქონლის ბინებს.

Hyalomma plumbeum Koch. გვხვდება ჩვენ მიერ შესწავლილ სამსავე რაიონში, გარდა ამისა ზაფხულში ნაპოვნია ცივის საზაფხულო საძოვრებზე. ამგვარად, შეგუებულია შირაქის სტეპების ცხელ ჰაერს ურო-ბალახის ფორმაციებით, მთის საშუალო და ქვედა სარტყელის ტყეებს, აგრეთვე საკმაო ნოტიო ჰაერის ფოთლოვან ტყეების ფორმაციებს. პარაზიტობს ძროხეულზე, თხებზე, ცხვრებზე ახალგაზრდა სტადიებში იკვებებიან გარეულ ფრინველებზე მაგ., ხოხობზე.

Hyalomma aegyptium L. სადაც კი გავრცელებულია კუ, Testudo-ს ამ გვარიდან, შევხვდებით ამ სახის ტკიპს. ეს მისი ჩვეულებრივი პარაზიტია და შინაურ ცხოველებზე არა გვხვდება.

Dermacentor marginatus Sulz. თანაბრად გვხვდება სამივე რაიონში. დიდ გავრცელებას პოულობს როგორც შირაქის სტეპებში, ასევე ალაზნის და იორის ქალებში და ლაგოდნის რაიონის მთის ქვედა ზოლის ფოთლოვან და ლეშამბიან ტყეებში. პარაზიტობს თხებზე, ძროხებზე, ძაღლებზე, ცხვრებზე. ახალგაზრდა სტადიები ჩვენ მიერ არ ყოფილა ნაპოვნი. ლიტერატურაში არის მითითება [6], რომ პარაზიტობენ თავისებურ მღრღნელებზე.

Boophilus calcuratus Bir. ლიტერატურული ცნობით [6] ეს ტკიპი გავრცელებულია ყოველნაირ ლანდშაფტებში. ჩვენ მიერ წითელი წყაროს რაიონში არცერთხელ არ ყოფილა ნაპოვნი, ორ დანარჩენ რაიონში კი წამყვან სახეობად ითვლება სხვა ტკიპთა შორის. ამგვარად, მისი გავრცელება უფრო შეგუებულია ტყის დაბალი ზონის ფორმაციებს, დაბლობ ლეშამბიან ტყეებს. პარაზიტობს ძირითადად ძროხებზე, რომელზედაც გაიგლის თავისი მეტამორფოზის ყველა სახეს.

Ixodes ricinus L. ამ ტკიპის ეკოლოგიაზე ლიტერატურაში ცნობები სხვადასხვაგვარია. შპრინგოლც-შმიდტის ცნობით [9] ტკიპი შეგუებულია ზომიერად, ცივ და დიდად ნოტიო ადგილებს. ოლენევის [5] ცნობით *Ix. ricinus*-ის განვითარებისათვის აუცილებელია ასპროცენტიანი სინოტივე და მისი გავრცელება შესაძლებელია მხოლოდ ქაობებში. ალფეევი [1] გვაცნობებს, რომ ეს ტკიპი გავრცელებულია ნოტიო ტყიან საძოვრებზე და ქაობებში იშვიათად



გვხვდება. პომერანცევი [7] ასკენის, რომ ეს ტკიპი დიდი ეკოლოგიური პლასტიკურობის მქონე პარაზიტია და ყოველნაირ ფიზიკურ ფაქტორებს კარგად იტანს, მაგრამ მაინც მისი გავრცელება თანხვედნილია ტყეების გავრცელებასთან. შირაქის სტეპებში *Ix. ricinus*-ი არა გვხვდება, მაშინ, როცა ორ დანარჩენ რაიონში დიდი რაოდენობით მოიპოვება, გარდა ამისა, ცივის საზაფხულო საძოვრებზე *H. plumbeum*-თან ერთად გვხვდება. ამგვარად, ფოთლოვანი ტყის ფორმაციები მუხის და წიფელის სიჭარბით, აგრეთვე ლეშამბიანი ტყეები, უფრო ხელსაყრელია მისი განვითარებისათვის, ვიდრე შირაქის სტეპების ფორმაციები. *imago*-ს ჩვეულებრივი პატრონია ძროხეული, თხები, ძაღლები. ახალგაზრდა სტადიები მღრღნელებზე პარაზიტობენ, იშვიათად გვხვდებიან ფრინველებზედაც მაგ. გარეულ მტრედზე.

სეზონური მოვლენები

ტკიპების სეზონური ბრუნვის შესწავლას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. თუ კი ზუსტად დადგენული იქნება ტკიპების „გაღვიძების“ მომენტები, ადვილად შესაძლებელი ხდება ტკიპებთან საბრძოლო ღონისძიებების გამონახვა. საქართველოს მეცხვარეობისათვის პირობაწარმოების გადამტანი ტკიპის მიმართ პროფილაქტიკური ღონისძიების ჩატარების საკითხი გადაწყვეტილად ჩაითვლება. ცხვრები იწყებენ საზაფხულო საძოვრებზე ასვლას ტკიპების მასობრივ გამოსვლამდე საზამთრო საძოვრებზე, რითაც ნაბარევისაგან უზრუნველყოფილი ხდებიან.

შესწავლილ რაიონებში სხვადასხვა სახის ტკიპებს პარაზიტობის სხვადასხვა სეზონი აქვთ. საერთოდ კი მრუდების მსვლელობა თითქმის ერთნაირია სამსავე რაიონში. გაზაფხულზე საქონლის ვარკვისას საძოვრებზე დატკიპიანება სწრაფად იზრდება, შემდეგ ზაფხულის შუაგულს ვამჩნევთ შემცირებას, შემოდგომაზე ტკიპების რაოდენობა კვლავ იზრდება და ზამთარში ეცემა. გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომის ძროხების დატკიპიანების შედარებით სრული სურათი მივიღეთ ლაგოდების რაიონისათვის, სადაც ძროხების ნახირი მთელი წლის განმავლობაში ერთ საძოვარზე რჩებოდა.

ძროხების დატკიპიანება მრუდის სახით რომ წარმოვიდგინოთ, ასეთ სურათს მივიღებთ: ერთი წვერი მრუდისა მისის თვეშია, დაწევას ვამჩნევთ ივნისში, შემდეგ მეორე წვერი—ივლისში და მესამე წვერი მრუდისა სექტემბერშია.

ასეთი სამწვერიანი მრუდი აიხსნება ტკიპი *B. calcaratus*-ის მასიური გაჩენით. როგორც ცნობილია მისი ბიოლოგიიდან [3], იგი ერთ პატრონიანი ტკიპია ე. ი. თავის მეტამორფოზს მთლიანად მოივლის ერთ პატრონზე და ერთი ზაფხულის განმავლობაში ასწრებს რამოდენსავე გენერაციას.

მრუდის წვერი გაზაფხულზე შეესაბამება პირველ გენერაციას, რომელიც გაჩნდა გადაზამთრებულ კვერცხებიდან. მეორე გენერაცია ვითარდება პირველიდან და გვაძლევს მრუდის მეორე აღმავლობას ივლისის თვეში და მესამე გენერაცია გვაძლევს მალალ დატკიპიანებას შემოდგომაზე—სექტემბერში. ამგვარად, *B. calcaratus*-ი წლის განმავლობაში იძლევა სამ გენერაციას, აქტიურ სეზონად ითვლება ზაფხული. ხარვეზები აფეთქებათა შორის ერთი თვის მანძილ-

ზე, საჭიროა კვერცხების ემბრიონალური განვითარებისათვის, რომელიც მიმდინარეობს პატრონის გარეში დედამიწაში.

Ix. ricinus-ი ლაგოდების პირობებში ჩნდება გაზაფხულზე, აპრილის თვეში და ძროხებზე მას საკმაო რაოდენობით ეხედებით. ზაფხულის განმავლობაში ამ სახის ტკიპით დატკიპიანება ეკემა, ხოლო შემოდგომაზე ისევ იწევს გაზაფხულის დონემდე. ასეთი ორწვეროვანი აღმავლობა აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ მეტამორფოზის მოვლენით, რადგან ამ სახეობის ტკიპის *laruae*-ები და *nymphae*-ბი შუალედ პატრონს თხოულობენ.

ამ ბიოლოგიური პროცესის ახსნას ეპოულობთ ლიტერატურაშიც [1, 7]. ტკიპი *H. plumbeum* გვადიდებს შებრუნებით სურათს; გაზაფხულზე, აპრილის თვეში ამ ტკიპს ძროხებზე ეხედებით ერთეულებად, ზაფხულის შუაგულს, ივნისში დატკიპიანება იწევს ზევით, მაგრამ უკვე ავკისტოს თვისათვის ისევ ეცემა და დაბალი დონე გრძელდება გვიან შემოდგომამდე. ამ ტკიპების პარაზიტობის სეზონი მეტად გაჭიმულია: ადრეგაზაფხულიდან გვიანშემოდგომამდე და მიმდინარეობს ერთწვერიანი მრუდის მიხედვით.

დანარჩენი სახეობის ტკიპები, რომლებიც ამ რაიონში გვხვდებიან, რაოდენობით მეტად მცირენი არიან და თითო სულ ძროხაზე ერთეულებს მეთვლებით მოითვლება.

Rh. turanicus და *Rh. sanguineus* ძაღლებზე გვხვდებიან მხოლოდ ზაფხულში—მაისიდან ივლისამდე.

D. marginatus, *Rh. bursa*, *Hm. cancinna* და *Hm. inermis* გვხვდებიან მხოლოდ გაზაფხულზე (აპრილი, მაისი).

თელავის რაიონში დატკიპიანების სეზონურობაზე დაკვირვებები ჩატარებული იყო სამ პუნქტში: 1. შუამთა, 2. ვანთა და აკურა და 3. თელავი. ძროხების დატკიპიანება წლის თბილი სეზონის განმავლობაში მიმდინარეობს ისევე, როგორც ეს აღწერილი იყო ლაგოდების რაიონისათვის ე. ი. ეღებულობით ორსამწვერიან მრუდს, რომელიც ისევ *B. calcaratus*-ის ხარჯზე ხდება. მაგრამ აქ ჩვენ გვხვდება მოვლენა, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი ხდება. იგი დაკავშირებულია სამეურნეო მომენტთან—საძოვრის გამოცვლასთან. თელავის რაიონის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმები გაზაფხულზე საქონელს მთაში ერეკებიან. გაზაფხულზე საქონელზე კეების დამთავრების შემდეგ მთელი ზაფხულის განმავლობაში ტკიპები რჩებიან საძოვრებზე. სისხლით გამძლარი დედალი ტკიპები სდებენ კვერცხებს, რომლებიდანაც გამოდიან *laruae*-ები. ეს უკანასკნელები ნაწილობრივ იკვებებიან გარეულ წვრილ ძუძუმწოვრებზე ან რეპტილიებსა და ფრინველებზე, ნაწილობრივ მშვიერ მდგომარეობაში არიან და შემოდგომაზე, საქონლის მთიდან ჩამოსვლისას, უზად ეხვევიან საქონელს, ამიტომ შემოდგომაზე ჩვენ ვხედავთ ძროხების მაღალ დატკიპიანებას სექტემბერში და ოქტომბერში. *B. calcaratus*-ი, როგორც ვთქვით, ერთპატრონიანი ტკიპია, ე. ი. მეტამორფოზს მთლიანად ერთ პატრონზე გაივლის, მაგრამ შემოდგომაზე ჩვენ ვხედავთ ამ ტკიპის მხოლოდ იმაგოს. ეს გვადიდებს საფუძველს ვიფიქროთ გარეული ცხოველების როლის შესახებ ახალგაზრდა სტადიების გამოცემაში, წი-



ნააღმდეგ შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია ზრდა დამთავრებული ფორმების ასე დიდი რაოდენობით ყოფნა საქონელზე შემოდგომით.

თვით თელავში ინდივიდუალურ მეურნეობაში მყოფი საქონელი, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში ადგილზე რჩება, დატკიპიანების სურათს ისეთსავეს გვაძლევს, როგორც ლაგოდეხისათვის დავინახეთ.

ზაფხულის განმავლობაში აქ მალაღდატკიპიანებას გვაძლევს განსაკუთრებით *B. calcaratus*-ი.

ზამთრის დატკიპიანება სამსავე პუნქტში ხდება ტკიპ *H. volgensis*-ს ხარჯზე, რომელიც ზაფხულში, უკვე აპრილიდან ვიდრე დეკემბრამდე, საქონელზე სრულებით არ გვხვდება. *H. plumbeum*—ძალიან ადრე გაზაფხულზე არ არის, ზაფხულში კი საქაო რაოდენობით პარაზიტობს საქონელზე. *D. marginatus*, *Rh. turanicus*, *Rh. sanguineus*, *Hm. punctata* და *Hm. inermis* გვხვდებიან გაზაფხულის მეორე ნახევარში, მაგრამ მასობრივ რაოდენობას არ აღწევენ.

წითელი წყაროს რაიონში ჩვენი დაკვირვებები ჩატარებული იყო ცხვრებზე, რომლებიც შირაქის სტეპებში მესაქონლეობის ძირითად დარგს წარმოადგენს. აქ ცხვარი რჩება მთელი ზამთრის განმავლობაში.

ცხვრების დატკიპიანება გაზაფხულზე ტკიპების რაოდენობის და სახეობრივი შემადგენლობის მიხედვით, შეიძლება წარმოვიდგინოთ ორ პერიოდად. პირველი—თებერვლის დამლევადან დაწყებული, ამ დროს ცხვრებზე ვხვდებით *Hm. punctata*-ს, *D. marginatus*-ს და *Hm. otophila*-ს, ამათში რაოდენობით სჭარბობს *Hm. punctata*, ყველაზე ცოტა რაოდენობით გვხვდება *Hm. otophila*. ამავე დროს ერთეულებად მოიპოვებიან *H. plumbeum* და *Hm. salcata*. მეორე პერიოდი აპრილის თვეშია,—ამ დროს ჩვენ ვხვდებით *Hm. otophila*-ს, *H. plumbeum* და *D. marginatus* ცოტა რაოდენობით. შესამჩნევ სიჭარბეს აღწევენ *Rh. turanicus* და *Rh. bursa*. *Rh. turanicus* წამყვანად ითვლება ისე, როგორც ადრეგაზაფხულზე *Hm. punctata* იყო.

შემოდგომაზე შეიძინა სახეობის მაგიერ, რომლებიც გაზაფხულზე გვხვდებოდნენ, ვხედავთ მხოლოდ ოთხს: *Hm. otophila*, *D. marginatus*, *Hm. punctata* და *Rh. bursa*-ს *nymphae*-ს. მითგან რაოდენობით სჭარბობს *Hm. otophila*. ამგვარად, *Hm. otophila*-სათვის შემოდგომა მისი მასიური პარაზიტობის სეზონია.

მოტანილი მონაცემებიდან ვხედავთ, რომ სას.-სამ. ცხოველების, როგორც ძროხების ისევე ცხვრების, სეზონური დატკიპიანება ყველა რაიონის და პუნქტის მიხედვით არაა ერთნაირი. ჩვენ ვხედავთ, რომ წლის განმავლობაში სას.-სამ. ცხოველების დატკიპიანება ხდება ორჯერ—ესაა გაზაფხული და შემოდგომა. იქ, სადაც საქონელი ზაფხულობით იკვლის საძოვარს, როგორცაა ელდარი, ვანთა-აყურა, ზაფხულ-გაზაფხულის დატკიპიანება დამოკიდებულია სამეურნეო ფაქტორზე, ამიტომ სას.-სამ. ცხოველთა დატკიპიანების ყველა სეზონის სრული სურათის დადგენა არაა შესაძლებელი. იქ კი, სადაც საქონელი მთელი წლის განმავლობაში ერთ ადგილზე რჩება, შესაძლებელი ხდება ცალკეულ სახეების ფენოლოგიის დადგენა.

ჩატარებული კვლევის შედეგად მივიღივართ შემდეგ დასკვნამდე: 1. სხვადასხვა ეკოლოგიური პირობის მიხედვით ვლებულობთ ტკიპების სხვადასხვა სა-

ხეობრივ შემადგენლობას, რაც დამოკიდებულია ცალკეული სახეობის შეგუებაზე გარკვეულ ადგილსამყოფელოებში და პატრონთა შესაფერის ასორტიმენტზე. მაშინ, როცა სხვა სახეობები, რომელთაც საკმაო ეკოლოგიური პლასტიკურობა ახასიათებთ, თანაბრად ეგუებიან სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებს.

2. სეზონური მოვლენების შესახებ ნათქვამის შეჯამების შედეგად, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ტუიპების სახეობით სიჭრელეს და რაოდენობითი სიჭარბეს გვაძლევს გაზაფხული. შემოდგომა გვაძლევს დიდ დატვირთვას, მაგრამ სახეობრივი შემადგენლობა ღარიბია.

საქართველოს სსრ მცენიერებათა აკადემია

ზოოლოგიის ინსტიტუტი

თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 3.5.1944)

ЗООЛОГИЯ

И. И. ДЖАПАРИДЗЕ

К ФАУНЕ, ЭКОЛОГИИ И ДИНАМИКЕ КЛЕЩЕЙ IXODIDAE НЕКОТОРЫХ РАЙОНОВ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

Резюме

Целью настоящего сообщения является описание фауны, экологии и динамики клещей *Ixodidae* некоторых районов Восточной Грузии. К списку клещей, данному ранее Матикашвили [2], для Грузии, нами добавляется *Haemaphysalis numidiana* Neumann, найденный в Эльдарских степях летом 1939 года.

Наблюдения над клещами нами проведены в Телавском, Лагодехском и Цители-Цкаройском районах, в результате чего мы видим, что 15 видов клещей, находящихся в этих районах, имеют неодинаковое распространение. Разные экологические условия исследуемых районов дают нам различный видовой состав клещей, что зависит от приуроченности отдельных видов к определенным местообитаниям и к определенному ассортименту хозяев, тогда как другие виды, обладая довольно большой экологической пластичностью, распространяются во всех трех районах.

В результате наблюдений над сезонными явлениями, приходим к заключению, что наибольшая пестрота и богатство видами приходится на весну, осень же нам дает высокий подъем заклещивания сельско-хозяйственных животных, но видовой состав беден. В течение года наблюдаются две главные вспышки заклещивания сельско-хозяйственных животных, это — весна и осень; в течение лета мы имеем еще один подъем высокого заклещивания, который проходит за счет клеща *Boophilus calcaratus* Birula.

Академия Наук Грузинской ССР

Зоологический Институт

Тбилиси

ციტირებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Н. И. Алфеев, О распространении клеща *Ixodes ricinus* в районе Чероменского озера и наблюдение над его биологией и экологией. Вредители животноводства Изд. Академии Наук СССР, 1935.
2. Н. В. Матикашвили. Географическое распространение клещей *Ixodidae* в ССР. Грузии. Тр. Гр. Инст. Эксп. Медиц., т. III, 1936.
3. А. А. Марков и А. В. Богородицкий. К биологии клеща *Boophilus calcaratus*. Тр. ВИЭМ, т. XI, 1935.
4. Н. О. Оленев. К систематике и географическому распространению клещей *Ixodidae*, р. *Haemaphysalis*. Докл. Акад. Наук, № 2, 1928.
5. Н. О. Оленев. К вопросу неодинакового распространения пиреплазмоза крупного рогатого скота в Северо-западной области. Вести. Совр. Ветерин., № 6, 1926.
6. Б. И. Померанцев и Н. В. Матикашвили. Эколого фаунистический очерк клещей *Ixodidae* (*Acarina*) Закавказья. Паразит. сборн., т. VII, 1940.
7. Б. И. Померанцев. К вопросу о происхождении клещевых очагов в Ленинградской области. Вредители животноводства. Изд. Акад. Наук, 1935.
8. М. В. Поспелова-Штром. О распространении, экологии и динамике клещей рода *Haemaphysalis*, преимущественно в пределах СССР, Патогенные животные ВИЭМ. Тр. Отдела паразитологии, т. II, 1936.
9. А. И. Шпрингольц-Шмидт. К познанию экологии и систематики клещей Дальнего Востока. Вредители животноводства. Изд. Акад. Наук СССР, 1935.

პრ. ჯანაშვილი

ამიერ-კავკასიაში შრელტყავას (*VORMELA PEREGUSNA PEREGUSNA*
GULD.) გავრცელება

არსებულ ლიტერატურულ წყაროებში ჭრელტყავას (*Vormela peregusna peregusna* Guld.) ამიერ-კავკასიაში გავრცელების შესახებ არასრული ცნობები მოგვეპოვება.

კავკასიის ფუნის ისეთი მკვლევარებიც კი, როგორც იყვნენ სატუნინი, დინიკი და სხვ., თავიანთ შრომებში ჭრელტყავას გავრცელების საკითხს მხოლოდ გაკვრით ეხებიან.

მკვლევარების ასეთი „უყურადღებობა“ ჭრელტყავას მიმართ შესაძლებელია აიხსნას ორი მიზეზით.

ჯერ ერთი, ეს ცხოველი, სატუნინის [1] სიტყვებით რომ ვთქვათ, გვხვდება „მხოლოდ ერთეული ეგზემპლარების სახით და ყველგან იშვიათია“, და, მეორეც — ჭრელტყავა სარეწაო მნიშვნელობას მოკლებულია, რის გამოც იგი მონადირეთა მიერ არ იქებნება და თუ მათ ხელში ხვდება, ეს შემთხვევითია. ამ მიზეზების გამო ჭრელტყავას გეოგრაფიული გავრცელება და ბიოლოგია შეუსწავლელი რჩება.

როცა სატუნინი [1] ამიერ-კავკასიის ფარგლებში ჭრელტყავას გავრცელებას ეხება, აღნიშნავს, რომ ცხოველის გავრცელება შემოიფარგლება „მხოლოდ აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიისა და სამხრეთ ამიერ-კავკასიის სტეპებით“-ო. მას ჭრელტყავა უპოვია „შემახის მაზლობლად (კავკასიონის მთავარი ქედის დაბლა უტყეო კალთებზე), მდ. მტკვრის ხეობაში სალიანის მაზლობლად, ერეენის მონადირეებში, მთის სტეპით დაფარულს თალიშის ქედზე, დაახლოებით 7000' სიმაღლეზე და ჩრდილო-სპარსეთის მოსაზღვრე ნაწილში (ნამინი)“.

სატუნინი სხვა შრომაში [2] აღნიშნავს, რომ ჭრელტყავა „ნაპოვნია თითქმის ყველგან, მაგრამ ყოველთვის იშვიათია“.

დინიკის [3] მიხედვით ამიერ-კავკასიაში „ჭრელტყავა გვხვდება არა ისე ხშირად, როგორც ჩრდილო-კავკასიაში, და სრულიადაც არა გვხვდება დასავლეთი ამიერ-კავკასიის ნოტიო, ტყიან ნაწილში“.

ოგნევი [4] იმეორებს ზემოაღნიშნულ ავტორთა მონაცემებს და უმატებს, რომ კავკასიის მუზეუმის კოლექციებში არის ეგზემპლარი ჭურღამირიდან (ყოფბაქოს გუბერნია).

როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნულ ავტორთა მონაცემებიდან ამიერ-კავკასიაში ჭრელტყავას გავრცელების არეალი არაა დაზუსტებული.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია ამ ხარვეზის ნაწილობრივი შევსება.

ჩვენი ნაშრომისათვის გამოყენებულია თბილისის ზოოპარკის ექსპონატები, სადაც მიღებულია ცოცხალი ეგზემპლარები ამიერ-კავკასიის სხვადასხვა რაიონიდან მთელი რიგი წლების (1930—1937) განმავლობაში, საქართველოს მუზეუმის მასალები და პირადი ექსპედიციების დროს შეგროვილი მასალები.

თბილისის ზოოპარკში მიღებული არიან ექსპონატები შემდეგი ადგილებიდან:

სოფ. კუმისის (თბილისის რაიონი) მიდამოებიდან, ერთი ეგზემპლარი (1930);

სოფ. შაუმიანის მიდამოებიდან ორი ეგზემპლარი (1931);

სოფ. ბოლნისის მიდამოებიდან სამი ეგზემპლარი (1932);

სოფ. ნალბანდის (ლენინკანის რაიონი, სომხეთის სსრ) მიდამოებიდან, სამი ეგზემპლარი (1937);

სოფ. მუხრანის (კასპის რაიონი) მიდამოებიდან, ორი ეგზემპლარი (1937.

VIII);

საქართველოს მუზეუმის კოლექციებში ინახებიან ექსპონატები ლენქორანიდან (1866. IV), ბორჯომიდან (1891. IX), გორიდან (1893. III), ისტი-სუდან (დარალაგეზის მაზრა) (1905, ზამთარი), გეგ-თაფადან (1906).

დოც. ი. ჩხიკვიშვილის გადმოცემით, ჭრელტყავა საქმაოდ მრავლად მოიპოვება ჯავახეთში, სადაც მონადირენი ყოველწლიურად იჭერენ ამ ცხოველთა 15—20 ეგზემპლარს და იყენებენ მათ ბეწვს¹⁾.

გარდა ამისა, ჩემ მიერ ეს ცხოველი ნახულია ამიერ-კავკასიის შემდეგ ადგილებში:

მცხეთის მიდამოებში (1931, ზაფხული), გორის მიდამოებში (1934, გაზაფხული), სოფ. კასთან (1938, ზაფხული).

თელავის რაიონის სარეწაო ფაუნის შესწავლისას ჩემ მიერ ეს ცხოველი ნახულია თელავ-ყვარელის ნაკრძალის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში, რაც სათანადოთ მაქვს აღნიშნული ცალკე შრომაში [5].

პორტ-ილიჩში (ლენქორანის რაიონი) მონადირეებმა მომიტანეს ჭრელტყავას ოთხი ტყავი (1935, გაზაფხული). მონადირეთა გადმოცემით, ეს ცხოველი იქ იშვიათად გვხვდება.

ვაჯამებთ ზემოთქმულს და ვასკნით, რომ ჭრელტყავა ამიერ-კავკასიის ფარგლებში გვხვდება ყველგან ერთეულების სახით და იშვიათად, რაც დასტურდება სხვა ავტორთა მონაცემებითაც.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ზოოლოგიის ინსტიტუტი

თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 2.3.1944)

¹⁾ ამ ცნობების მოწოდებისათვის დოც. ი. ჩხიკვიშვილს მადლობას ვუძღვნი.



А. Г. ДЖАНАШВИЛИ

РАСПРОСТРАНЕНИЕ ПЕРЕВЯЗКИ (*VORMELA PEREGUSNA PEREGUSNA* GULD.) В ЗАКАВКАЗЬЕ

Резюме

В литературе мы имеем далеко неполные данные относительно распространения перевязки (*Vormela peregusna peregusna* Guld.) в пределах Закавказья.

Даже такие знатоки кавказской фауны млекопитающих, как, например, К. А. Сатунин, Н. Я. Динник и др., в своих трудах о распространении зверька в пределах Закавказья упоминают его только для некоторых районов.

Такое «невнимание» со стороны фаунистов к перевязке можно объяснить двумя причинами.

Во-первых, относительной малочисленностью этих зверьков вообще: так, по словам Сатунина [1], они встречаются «лишь одиночными экземплярами и везде представляют редкость», и, во-вторых, перевязка промыслового значения не имеет, не разыскивается охотниками-промышленниками и, если и попадает в их руки, то случайно.

Ввиду этого, географическое распространение перевязки остается малоизвестным.

По Сатунину [1], в Закавказье распространение перевязки ограничено только степями Восточного Закавказья и Южного Закавказья. «Я нашел около Шемахи (безлесные низкие отроги Главного хребта), в долине реки Куры близ Сальян, около Эривани, на покрытом горною степью Талышинском хребте, на высоте уже около 7000' и в прилегающей части Северной Персии (Нами)».

В другой работе того же автора [2] говорится, что перевязка «найде-на почти повсюду, но всегда очень редко».

По Диннику [3], в Закавказье «перевязка попадает далеко не так часто, как на Северном Кавказе, и вовсе не встречается во влажной, лесистой части западной части Закавказья».

С. И. Огиев [4] к сказанному вышеозначенными авторами добавляет, что в коллекции Кавказского музея имеется экземпляр из Кюрдамира (бывшая Бакинская губерния).

Как видно из вышеприведенных данных, ареал распространения перевязки для Закавказья остается далеко не выясненным.

Целью настоящей работы является стремление несколько пополнить этот пробел.

Нами использованы материалы Тбилисского зоопарка, куда поступали

живые экземпляры из разных районов Закавказья в разное время (1930—1937), а также материалы музея Грузии (в виде черепов и шкурок) и личные наблюдения.

В Тбилисский зоопарк поступили перевязки из следующих местностей: из окрестностей гор. Шаумян—2 экз. (1931), из окрестностей сел. Кумиси (Тбилисский район)—1 экз. (1930), из окрестностей Болниси—3 экз. (1932), из сел. Налбанд (Ленинаканский район, Армянская ССР)—3 экз. (1937), из сел. Мухрани (Каспский район)—2 экз. (август 1937).

В Музее Грузии (Тбилиси) хранятся экземпляры из Ленкорани (1866, IV), Боржоми (1891, IX), Гори (1893, III), Исти-Су (Даралагезский уезд, 1905, зима), Гёк-Тапа (1906).

По словам доц. И. Д. Чхиквишвили, перевязка в значительном количестве встречается в Джавахетии (Южное Закавказье), где охотники добывают ежегодно по 15—20 экземпляров этих зверьков и применяют их мех.

Кроме этого, я нашел перевязку около Михета (1931, лето) в окрестностях Гори (1934, весна), около сел. Каспи (1938, лето).

4 шкурки перевязок я видел в Порте-Нильиче (Ленкоранский район) (1935, весна), где зверек этот, по словам охотников, является редкостью.

Из вышеуказанного видно, что ареал распространения перевязки в пределах Закавказья довольно обширен, но везде она встречается в виде единичных экземпляров.

Академия Наук Грузинской ССР
 Зоологический Институт
 Тбилиси

საბუნებისმეტყველო ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. К. А. Сатунин. Млекопитающие Кавказского края. Т. 1, Тифлис, 1915.
2. К. А. Сатунин. Млекопитающие Талыша и Мугави. Изв. Кавк. Муз., т. II, вып. 2—4, Тифлис, 1905.
3. Н. Я. Динник. Звери Кавказа, т. II, Тифлис, 1914.
4. С. И. Огнев. Звери СССР и прилегающих стран. Т. III, Москва, 1935.
5. აბჩ. ჯანაშვილი. თელავის რაიონის სარეწაო ძუძუმწოვრები და მათი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა. თელავი, 1942 (ბელნაწერი).

ჰისტოლოგია

ა. ზურაბაშვილი

ზურბის ტვინის სინაფსური აპარატის მორფოლოგიისათვის

საკითხის ლიტერატურა

ტერმინალური ფოლაქები ანუ „boutons terminaux“ წარმოადგენენ საბოლოო მორჩებს, რომლის საშუალებითაც სინაფსურად უკავშირდებიან ნერვული უჯრედის სხეულს და მის დენდრიტებს.

Marchi-ს და Weygert-ის მეთოდის საშუალებით შეიძლება აღმოჩენილი იქნეს ბოკკოთა გამტარი გზები; მაგრამ ხსენებული მეთოდები ვერ დავენ ნერვულ მორჩთა უმიეღინო დაბოლოებებს.

აქსონთა დაბოლოებათა შესახებ პირველი პუბლიკაციები ეკუთვნის კახალს, და მიეკუთვნება 1888 წლის პერიოდს (ციტ. ჯიბსონით, [9]). კახალის მიერ აღმოჩენილი ფაქტები შემდგომ სხვა ავტორების მიერ იყო დადასტურებული.

ზურგის ტვინსა და ნათხეში საბოლოო ფოლაქები აღწერეს გოფმა (Hoff), უინდელმა (Windle) და კლარკმა (Clark); დიდ ტვინში აღწერეს კახალმა, გოფმა და ლორენტდენომ, ხოლო სიმპათიკურ კვანძებში ლაერენტიევმა და დე-კასტრომ (De Castro) (ციტ. ჯიბსონით [9]).

თანახმად ბილშოვსკისა (Bielschowsky, 1905—1910), ვოლფისა (Wolf) და აპათისა (Apathy, 1907) საბოლოო ფოლაქსა და უჯრედის სხეულ შორის არსებობს უწყვეტი კავშირი; კახალის და მის თანამიმდევართა მიხედვით არსებობს მხოლოდ კონტაქტი (ციტ. ფელენით და დევენპორტით [10]). პოფი [8] აღნიშნავს, რომ თანდათანობით დაზუსტებული იქნა ტერმინალურ ფოლაქთა სინაფსური ხასიათი.

თუმცა ფედოროვმა მოახერხა შეესწავლა სინაფსები სიმპათიკურ კვანძებში ბაყაყის ვიტალურ პრეპარატებზე (ციტ. ბოდიენით, [4]), მაინც დღემდე ჩვენ არ ვიცით მესოდი რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შეისწავლოს ც. ნ. სისტემაში სინაფსები ცოცხალ ცხოველზე.

პირველად ტერმინალური ფოლაქები ჩნდებიან დაბადების შემდგომ მე-21 დღეზე; პირველ რიგში ჩნდებიან ეგრეთწოდებული ტრანზიტორული ფოლაქები („boutons de passage“), (პოფი [8]).

ტერმინალური ფოლაქები მცირე ზომის არიან, მოგვაგონებენ ნერვული ბოკკოს მარყუშს და ეხებიან უჯრედის სხეულს და მათ დენდრიტებს.

ფოლაქები აღმოჩენილია ზურგის ტვინში, მოგრძო ტვინში, პურკინიეს უჯრედთა დენდრიტებზე და აგრეთვე დიდი ტვინის ქერქულ უჯრედებზე.

ფოლაქების განლაგება სულ არ ეთანადება მის სიდიდეს და ფორმას; დენდრიტებზე ფოლაქთა მრავალგვარობა ისევე წარმოდგენილი, როგორც უჯრედის სხეულის ზედაპირზე; ორსავე შემთხვევაში თანაბრად არის წარმოდგენილი ტრანზიტორულ ფოლაქთა პროცენტი (ჰოფი, [8]).

ფოლაქები აღმოჩენილია როგორც დენდრიტების პროქსიმალურ ნაწილში, აგრეთვე უჯრედიდან მანძილზე მოშორებით.

ფოლაქების საერთო რიცხვი დამოკიდებულია უჯრედის სიდიდეზე. ჩვეულებრივად ვენტრალური რქის უჯრედების ზედაპირზე შეიძლება დავითვალოთ 300—350 ფოლაქი; ფორბსი [7] ითვლის 1300-მდე.

რუხი ნივთიერების სხვა უჯრედები მომცროსა და ამასთან დაკავშირებით მათი სინაფსებიც უფრო პატარაა და ნაკლებრიცხვოვანნი (ჰოფი, [8]).

ზურგის ტვინის თეთრი ნივთიერების ვენტრალურ სექტში შემაჯავლი პროექციები მოფენილია ფოლაქებით. ჰოფით [8] არ არსებობს კავშირი ფოლაქებსა და უჯრედებს შუა ნევროთიბრილთა შორის. ხსენებული მოვლენა დასტურდება ექსპერიმენტულადაც: ფოლაქის გადაგვარების პროცესი უცებ ჩერდება და არ გადადის თვით უჯრედის სხეულზე, რაც შეუძლებელი იქნებოდა განუწყვეტელი კავშირის არსებობის დროს.

ფელენმა და დვევროპორტმა [11] ტერმინალური ფოლაქები აღმოაჩინეს მაიმუნის, კატის, ძაღლის, ვირთაგვას, ბაჭის, ძროხის, ცხვრის, ღორის, იხვის, მტრედის და კუს ზურგის ტვინში. თანახმად ხსენებული ავტორებისა, ყველაზე მსხვილი ფოლაქები აღმოჩენილი იყო ძროხის და ღორის ზურგის ტვინში, ხოლო ყველაზე მრავალფეროვანნი—მაიმუნის ტვინში.

ფრიად საინტერესოა ზოგიერთი ცნობა პათოლოგიიდან.

ბარნარის [2] მონაცემების თანახმად ზურგის ტვინი, რომელსაც პერფუზია გაუკეთდა სიკვდილიდან ათი წუთის შემდგომ, არ განსხვავდება შემთხვევისგან, როცა პერფუზია გაკეთებულია ცოცხალ ცხოველზე. 25 წუთის შემდგომ მკვებრად არის გამოხატული ფოლაქთა ფრაგმენტაცია, ხოლო 40 წუთის შემდგომ მთლიანი ფოლაქები სულ აღარ არსებობს.

ავტორის აზრით, დაზიანებული ან მომავლადეი უჯრედი გამოჰყოფს ტოქსინებს ანუ მეტაბოლიტებს, რომლებიც მოქმედებენ ტერმინალურ ფოლაქებზე და იწვევენ მათ გადაგვარებას.

როგორც ლიტერატურულ მასალებიდან ირკვევა, ტერმინალური ანუ პერიციკულარული ფოლაქები ე. ი. სინაფსები წარმოადგენენ რთულ მორფოლოგიურ აპარატს.

ჩვენ მიხნად დავისახეთ დავაზუსტოთ ზურგის ტვინის სინაფსური აპარატის თავისებურებანი.

ჰისტოლოგიურად დეტალურად შესწავლილია კატის ზურგის ტვინის უბნები. შესწავლილია 4 სერია, რომლიდანაც 3 დამუშავებულია თანახმად ჰოფის [2, 3, 8] მოდიფიცირებული მეთოდისა, ხოლო ერთი სერია შეღებილია კახალით (პირიდინის ფიქსაცია).

ექსპერიმენტული ოპერაციების დროს დიდი დახმარება გავკვიწიეს პროფ. ი. ფიფიამ და დოც. ა. ბაკურაძემ, რისთვისაც ვუძღვნით მათ მად-

ლობას. სურათების ჩახატვა შესრულებულია განყოფილების თანამშრომლის ე. ჩოლოყაშვილის მიერ.

ტექსტში მოტანილი სურათები მოცემულია ერთნაირი გადიდებით (ოკ. 7X, ობ. Zeiss, 90H; აბეს სახატავე აპარატით).


საკუთარი დაკვირვებანი

ტერმინალური ფოლაკები საკმაოდ უხვად არის წარმოდგენილი ზურგის ტვინის წინა რქის მსხვილ მოტორულ უჯრედებზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სინაფსური წარმოქმნანი მკაფიოდ არის გამოსახული არა მარტო უჯრედის სხეულზე, არამედ შორს პროტოპლასმური მორჩების გასწვრივ. ფორმის მხრივ სინაფსური წარმოქმნანი შეიძლება დაეყოს რგოლებად, ელიფსად, სამკუთხედებად და ქინძისთავის მაგვარ წარმონაქმნებად; ხოლო სიდიდის მიხედვით სინაფსები შეიძლება იყოს წერტილისებრი და მსხვილნი. უფრო ხშირად ჩვენ ვხვდებით რგოლისებურ სინაფსებს.

ზოგიერთ ტერმინალურ ფოლაქს თან დართული აქვს წვრილი, სხვადასხვა მანძილზე მიმავალი ბოჭკო; უკანასკნელს მე განვიხილავ როგორც სინაფსურ ბოჭკოს.

ანათლისდა მიხედვით ტერმინალური ანუ სინაფსური ბოჭკო შეიძლება წარმოდგენილი იქმნეს ფოლაქის გარეშეც.

სინაფსური ბოჭკოები კარგად არიან გამოხატული დენდრიტთა გასწვრივ და დენდრიტთა შუა ბუდეში უჯრედის სხეულზე. სინაფსური ბოჭკოები რო-



სურ. 1.

გორც უმცირესი, მიეღწის მოკლებული დაბოლოებანი ყველაზე მრავალრიცხოვნად წარმოდგენილი არიან ზურგის ტვინის მსხვილ მოტორულ უჯრედებზე. ტერმინალური ფოლაკები ჩვენ მიერ შენიშნულია ზურგის ტვინის ყოველი უბნის უჯრედებზე და მათ მორჩებზე.

სურ. 1. (უკანა რქის მიდამო, მოდიფიცირებული ჰოფი) დამახასიათებელი არის უკანა რქის სინაფსური აპარატისათვის: უჯრედის სხეული და აგრეთვე მისი მორჩები არაა მდიდარი ტერმინალური ფოლაკებით.



სურ. 2.

უკანასკნელნი წარმოდგენილნი არიან წერტილების და წვრილი რგოლების სახით.

ფოლაქები მოფენილია უჯრედის მთელ ზედაპირზე (სურ. 2, წინა რქის მოტონირონი, მოდიფ. ჰოფი); ფოლაქების განლაგებაში ან სტრუქტურაში რაიმე კანონზომიერება არ აღინიშნება.

